ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 650

23 დეკემბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ ჯაბა ნოზაძეს (პ/ნ. 57001016740) (უფლებამონაცვლე: შპს „ლ.დ. დეველოპმენტი", ს/ნ. 405003099) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 22 თებერვლის №ე-35-467 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის და 127² მუხლის, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ ჯაბა ნოზაძეს (პ/ნ. 57001016740) (უფლებამონაცვლე: შპს „ლ.დ. დეველოპმენტი", ს/ნ. 405003099) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 22 თებერვლის №ე-35-467 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის №22.841.915 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირ ჯაბა ნოზაძეს (პ/ნ. 57001016740) (უფლებამონაცვლე: შპს „ლ.დ. დეველოპმენტი", ს/ნ. 405003099) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 22 თებერვლის №ე-35-467 ოქმის (ხელშეკრულების) 2.2 მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა - „მშენებლობის უფლების გარეშე", იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30

(ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში შპს „ლ.დ. დეველოპმენტი“ (ს/ნ. 405003099) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე 113 662 (ას ცამეტი ათას ექვსას სამოცდაორი) ლარის გადახდას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე